mgi

BUSINESS SOLUTIONS
WORLDWIDE

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +

ფინანსური ანგარიშგება
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა 3

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა..... 5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 9

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება... 10

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება..... 11

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 12

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები..... 13

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +"-ს დამფუძნებლებს:

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გამიჯნულ იქნას ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +"-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ ივარაუდება, რომ ორგანიზაცია გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ორგანიზაციის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2017 წლის 29 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი გურამ კანდელაკი	ფინანსური დირექტორი აკაკი არუშიძე
29 სექტემბერი, 2017 *თბილისი, საქართველო*	*29 სექტემბერი, 2017* *თბილისი, საქართველო*

mgi
BUSINESS SOLUTIONS
WORLDWIDE

N19,D. Gamrekeli Street
Suit #503
0160 Tbilisi, Georgia
Tel.: +995 32 2330 906
+995 32 2378 909
Fax: +995 32 2385 181
e-mail: info@mgi.com.ge
www.mgi.com.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +"-ს დამფუძნებლებსა და სამეთვალყურეო საბჭოს:

პირობითი დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +"-ს (შემდგომში „ორგანიზაცია") ფინანსური ანგარიშგებების აუდიტორული შემოწმება, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, და ფინანსური აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკებისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, გარდა იმ შესაძლო ეფექტისა, რომელსაც მოახდენდა პირობითი დასკვნის საფუძველში მოცემული საკითხები, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „ორგანიზაციის" ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს" „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის" (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ „ორგანიზაციისაგან" დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

1. ორგანიზაცია არ ახორციელებს შეფასებას გაცემული სესხების გაუფასურებაზე, როგორც მოითხოვება ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება"-ს და ფასს 9 – (ფინანსური ინსტრუმენტები)-ს მიხედვით (უკანასკნელი ძალაში შევა 2018 წლის 01 იანვრიდან და განზრახულია, რომ ჩაანაცვლებს ბასს 39-ს). გაუფასურების ზარალში მოცემულია ჩამოწერილი სესხების ხარჯები, რომელიც მენეჯმენტმა განახორციელა ერთჯერადად შიდა მოკვლევის შედეგად, თუმცა მეთოდოლოგიური მიდგომა ორგანიზაციას არ გააჩნია სესხების გაუფასურების პოლიტიკასთან დაკავშირებით.

2. ორგანიზაციამ არ განახორციელა გადავადებული გადასახადების გამოთვლა ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, როგორც ეს მოითხოვება ბასს 12-ით „მოგებიდან გადასახადები"-ს მიხედვით.

3. ორგანიზაცია ახორციელებს სესხის გაცემასთან დაკავშირებული საკომისიოების აღრიცხვას საკასო მეთოდით, რაც არ შეესაბამება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს;

4. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა შესადარისი ინფორმაცია გაცემულ სესხებთან დაკავშირებით, კერძოდ ბიზნესის ტიპის, ვადიანობის და უზრუნველყოფის მიხედვით როგორც მოითხოვება ბასს 1-ის შესაბამისად;

მნიშვნელოვანი გარემოებები

1. ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია ეყრდნობა ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, რომლის აუდიტი ჩაატარეს სხვა აუდიტორებმა და რომელთა 2016 წლის 29 ოქტომბრის დასკვნის თანახმად გამოტანილი იყო უპირობო მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების თაობაზე.

   ჩვენს მიერ მომზადებული 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესადარის ინფორმაციის წარმოდგენისას განხორციელდა მუხლების გადაჯგუფება, რამაც ზეგავლენა არ იქონია მთლიანი ფინანსური ანგარიშების შედეგებზე 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

   ჩვენი აზრით, ამგვარი კლასიფიკაცია მართებულია და სათანადოდ არის გამოყენებული. ზემოხსენებული გადაჯგუფების გარდა, ჩვენ არ ვიყავით ჩართული ორგანიზაციის 2015 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ან მიმოხილვის ჩატარებაში ან რამე სხვა პროცედურის გამოყენებაში, და ამგვარად არ გამოვთქვამთ დასკვნას ან რაიმე სახის რწმუნებას მთლიანობაში 2015 წლის ფინანსური ანგარიშგებასთან მიმართებაში.

2. ორგანიზაციის გაუნაწილებელი მოგება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 679,994 ლარს, ხოლო 2016 წლის ფინანსური შედეგი შეადგენდა (637,528) ზარალს. ორგანიზაციამ 2016 წლის განმავლობაში განახორციელა 1,894,737 ლარის ოდენობით დივიდენდის გაცემა. საქართველოს კანონის მეწარმეთა შესახებ მე-8 მუხლის თანახმად, ორგანიზაციაში პარტნიორთა საერთო კრების ან აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს წლიური მოგებისა და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება, რაც გულისხმობს, რომ გაცემული დივიდენდის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გაუნაწილებელი მოგების ოდენობას.
3. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ მოგვემზადებინა განმარტებითი შენიშვნა მიღებული სესხების ვადიანობასთან დაკავშირებით 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესადარისი ინფორმაციის მომზადების მიზნებისათვის.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთ მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ორგანიზაციის" უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და

გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხს აგებს „ორგანიზაციის" ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და ასევე აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შესძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა „ორგანიზაციის" შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „ორგანიზაციის" უნარი განაგრძოს ფუნქციონირება, საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა

დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „ორგანიზაცია" შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპებით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანასური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერ მნიშვნელოვანი ხარვეზების შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა" გაიცა, არის:

გიორგი ხმალაძე

შპს აუდიტორული და საკონსულტაციო სამსახური ემჯიაი ჯორჯია

MGI Worldwide-ის წევრი

29 სექტემბერი, 2017

თბილისი, საქართველო

	შენიშვნა	31.12.2015	31.12.2016
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	4	4 927 817	4 953 649
გაცემული სესხები	5	30 054 684	28 067 359
სხვა აქტივები	6	14 606	40 431
წინასწარ გადახდილი გადასახადები		208 683	673 196
ძირითადი საშუალებები	7	3 144 314	4 896 042
არამატერიალური აქტივები	8	4 379	224 863
სულ აქტივები		**38 354 482**	**38 855 539**
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	9	34 418 614	37 096 272
სხვა ვალდებულებები	10	1 294 229	879 271
გადასახდელი გადასახადები		316 336	86 958
სულ ვალდებულებები		**36 029 179**	**38 062 501**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	1 645 309	2 645 309
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		679 994	(1 852 271)
სულ კაპიტალი		**2 325 303**	**793 038**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**38 354 482**	**38 855 539**

9-40 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2017 წლის 29 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ და ამ უკანასკნელის სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ შემდეგი პირები:

დირექტორი
გურამ კანდელაკი

29 სექტემბერი, 2017
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
აკაკი არაშიძე

29 სექტემბერი, 2017
თბილისი, საქართველო

	შენიშვნა	12 თვე, 2015 წ.	12 თვე, 2016 წ.
საპროცენტო შემოსავალი	11	19 233 094	22 574 005
საპროცენტო ხარჯები	11	(5 528 420)	(6 246 527)
წმინდა პროცენტული შემოსავალი		**13 704 673,8**	**16 327 478,5**
გაუფასურების ზარალი		(2 034 575)	(2 327 901)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ანარიცხის შემდეგ		**11 670 099,2**	**13 999 577,2**
საკომისიო შემოსავალი	12	2 067 326	1 970 662
საკომისიო ხარჯები	12	(340 645)	(399 431)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		**1 726 680,3**	**1 571 231,3**
სხვა საოპერაციო შემოსავალი		29 768	56 440
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი		101 282	346 141
სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(9 071 894)	(13 389 234)
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯები		(224 458)	(499 244)
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა ზარალი / მოგება		(1 071 975)	(2 463 246)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები / ხარჯები		(64 591)	(259 194)
მოგება / ზარალი დაბეგვრამდე		**3 094 912,0**	**(637 528)**
მოგების გადასახადი		(452 361)	-
წმინდა მოგება		**2 642 551**	**(637 528)**

9-40 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2017 წლის 29 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ და ამ უკანასკნელის სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ შემდეგი პირები:

დირექტორი გურამ კანდელაკი	ფინანსური დირექტორი აკაკი არაშიძე
29 სექტემბერი, 2017 *თბილისი, საქართველო*	*29 სექტემბერი, 2017* *თბილისი, საქართველო*

	12/31/2015	12/31/2016
წლის მოგება	3,094,912	(637,528)
ცვეთა და ამორტიზაცია	224,458	499,244
მოგების გადასახადის ხარჯი	(452,361)	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	**2,867,009**	**(138,284)**
ცვლილებები გაცემული სესხებში	(9,454,187)	1,987,325
ცვლილებები სხვა აქტივებში	2,262,887	(25,826)
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში	(208,683)	(464,513)
ცვლილებები სხვა ვალდებულებებში	439,250	(414,958)
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	266,276	(229,378)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**(3,827,447)**	**714,367**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
არამატერიალური აქტივების შეძენა/(ჩამოწერა)	(224,858)	(752,540)
ძირითადი საშუალებების შეძენა/(ჩამოწერა)	(1,255,100)	(1,718,916)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(1,479,958)**	**(2,471,456)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დივიდენდის გაცემა	(2,028,397)	(1,894,737)
ცვლილებები მიღებულ სესხებში	9,335,747	2,677,658
ინვესტიცია საწესდებო კაპიტალში		1,000,000
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**7,307,350**	**1,782,921**
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	**1,999,945**	**25,832**
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	2,927,872	4,927,817
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	**4,927,817**	**4,953,649**

9-40 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2017 წლის 29 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ და ამ უკანასკნელის სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ შემდეგი პირები:

დირექტორი	ფინანსური დირექტორი
გურამ კანდელაკი	ბაკი აროშიძე
29 სექტემბერი, 2017	*29 სექტემბერი, 2017*
თბილისი, საქართველო	*თბილისი, საქართველო*

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისათვის	**1 645 309**	**65 840**	**1 711 149**
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	2 642 551	**2 642 551**
დივიდენდის გაცემა	-	(2 028 397)	**(2 028 397)**
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისათვის	**1 645 309**	**679 994**	**2 325 303**
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(637 528)	**(637 528)**
დივიდენდის გაცემა	-	(1 894 737)	**(1 894 737)**
ინვესტიცია საწესდებო კაპიტალში	1 000 000	-	**1 000 000**
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის	**2 645 309**	**(1 852 271)**	**793 038**

9-40 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2017 წლის 29 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ და ამ უკანასკნელის სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ შემდეგი პირები:

დირექტორი
გურამ კანდელაკი

29 სექტემბერი, 2017
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
აკაკი არაშიძე

29 სექტემბერი, 2017
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ძირითადი საქმიანობა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +" (შემდგომში -"ორგანიზაცია") დაფუძნდა 1999 წლის 4 ნოემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი: 202950226, მარეგისტრირებელი ორგანო არის დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, პეკინის ქ., №33ა.

ორგანიზაციის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა დამფუძნებლები. ორგანიზაციის ოპერაციების ზედამხედველობას ახორციელებს „სამეთვალყურეო საბჭო", ხოლო ყოველდღიურ მართვას ახორციელებს „სამეთვალყურეო საბჭო"-ს მიერ დანიშნული „დირექტორი".

ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან: გურამ კანდელაკი (პ/ნ 01026011514) - 32,75%, ქეთევან სიდამონიძე (პ/ნ 01006014310) - 26,25 %, თამარ კანდელაკი (პ/ნ 01026011515) - 17%, ნაზიკო კანდელაკი (პ/ნ 01024020434) - 9%, გიორგი მამადაშვილი (პ/ნ 01013002170) - 5 %, გიორგი ხიზანიშვილი (პ/ნ 01015001856) - 3,75%, ქეთევან ხიზანიშვილი (პ/ნ 01005004256) - 2,5%, ეკა ხიზანიშვილი (პ/ნ 01015001783) - 2,5 %, ლელა მჭედლიძე (პ/ნ 01026017289) - 0,625 %, ლიანა მჭედლიძე (პ/ნ 01024057114) - 0,625 %.

ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

ორგანიზაცია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ორგანიზაციის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძვლები

ა) შესაბამისობა

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ფასის საფუძველზე.

გ) სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

„კომპანიის" სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ასახავს მათი შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის ანგარიშგების ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს სავალუტო ერთეულამდე.

დ) შეფასებების და დაშვებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების ფასს-თან შესაბამისობით მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისგან.

შეფასებები და ქვემდებარე მოსაზრებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აისახება იმ პერიოდში, როდესაც მოხდება შეფასებების კორექტირება და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელსაც ის ეხება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდში

ა) უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კონვერტირდება ქართულ ლარში ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო დღეს კონვერტირდება ლარში, ამ დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა (რომელიც დაკორექტირებულია პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და გადახდების გათვალისწინებით) და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას (დაკონვერტირებულს საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსით) შორის.

უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული არაფულადი აქტივებისა და ვალდებულებების მოქმედ ვალუტაში კონვერტაცია ხდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით.

კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში.

ბ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში და ბანკებში შეუზღუდავ მიმდინარე ანგარიშებზე არსებულ ბანკნოტებს და ხურდა ფულს, რომელთა საწყისი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ამორტიზირებული ღირებულებით.

გ) ფინანსური ინსტრუმენტები

კლასიფიკაცია

სესხები და ვალდებულებები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა „ორგანიზაციის" მოცემული სესხებისა და მოთხოვნებისა:

- რომელთა გაყიდვასაც ორგანიზაცია სასწრაფოდ ან უახლოეს დროში აპირებს;
- რომლებსაც ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრავს მოგებაში ან ზარალში;
- რომლებსაც ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომს, ან,
- როდესაც ორგანიზაცია ვერ ახდენს პირველადი ინვესტიციების სრულად აღდგენას, გარდა კრედიტუნარიანობის გაუარესების მიზეზისა.

ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ფინანსური ინსტრუმენტების შესაბამის კლასიფიკაციას საწყისი აღიარების დროს.

აღიარება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ორგანიზაცია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულების მხარე. ფინანსური აქტივების შესყიდვის ყველა რეგულარული ფორმა აღირიცხება ანგარიშსწორების დღისთვის.

შეფასება

ფინანსური აქტივი ან ვალდებულება თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ფინანსური აქტივის ან ვალდებულების მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახვის შემთხვევაში ემატება საოპერაციო ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების შეძენას ან გამოშვებას.

საწყისი აღიარების შემდეგ, ფინანსური აქტივები, ისეთ წარმოებულ ინსტრუმენტებთან ერთად, როგორიც არის აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, საოპერაციო ხარჯების გამოუკლებლად, რომლებიც შესაძლოა გაწეულ იქნას მათი გაყიდვის ან განკარგვის დროს, გარდა:

- სესხებისა და მოთხოვნებისა, რომლებიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების შეფასების პრინციპები

სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა ორგანიზაციას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ასახავს შეუსრულებლობის რისკს.

როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებას ორგანიზაცია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, ორგანიზაცია სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში.

თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის სამართლიანი ღირებულება. თუ ორგანიზაცია გადაწყვეტს, რომ სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან, და სამართლიანი ღირებულება არ დასტურდება იდენტურ აქტივზე ან ვალდებულებაზე მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს; ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

ორგანიზაციას არ გააჩნია ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები რომელიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, შესაბამისად არ არის წარმოდგენილი ფასს 7-ის შესაბამისად სამართლიანი ღირებულების პრინციპების იერარქიის გაზომვის მიხედვით.

მოგება და ზარალი სამართლიანი ღირებულების შემდგომი შეფასებისას

ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურებისას, და ამორტიზაციის პროცესში.

აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან შემოსულ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლებების ვადა ამოიწურება ან როდესაც ორგანიზაცია გაასხვისებს აღნიშნული ფინანსური აქტივის საკუთრებიდან გამომდინარე არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ან როდესაც ორგანიზაცია არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკებსა და სარგებელს და არ იტოვებს გადაცემული აქტივის კონტროლის უფლებას. გადაცემულ ფინანსური აქტივში (რომელიც ექვემდებარება აღიარების შეწყვეტას) დარჩენილი ნებისმიერი წილი, რომელიც იქმნება ან რჩება ორგანიზაციაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ცალკე აქტივად ან ვალდებულებად. ორგანიზაცია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან იწურება.

ორგანიზაცია ახორციელებს იმ აქტივების ჩამოწერას, რომელთა გადახდა უიმედოდ არის მიჩნეული და გააჩნია შესაბამისი საკანონმდებლო საფუძველი, რომელიც შეესაბამება საქართველოს საგადასახადო კოდექსს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს უცხოური ვალუტის კონტრაქტებს.

წარმოებული ინსტრუმენტები საწყის ეტაპზე აღიარდება სამართლიანი ღირებულებით იმ დღეს, როდესაც წარმოებული ხელშეკრულება ამოქმედდება და შემდგომ ფასდება სამართლიანი ღირებულებით. ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღიარდება აქტივების სახით, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება არის დადებითი და ვალდებულებად - როდესაც სამართლიანი ღირებულება ნეგატიურია.

წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციას მოცემული მომენტისთვის აქვს სამართლებრივი უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს აღიარებული თანხები და განზრახული აქვს მოახდინოს ურთიერთგაქვითვა სოლდირებული თანხით ან ერთდროულად განახორციელოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

დ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებებისთვის ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს შემდეგი მომსახურების ვადები:

- კომპიუტერი და ტექნიკა	5 წელი;
- საოფისე მოწყობილობები	5-10 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი;
- შენობა-ნაგებობები	20 წელი;
- კაპიტალური დანახარჯები იჯარით აღებული ობიექტების მიხედვით	20 წელი;
- სხვა	10 წელი;

ორგანიზაცია არ განიხილავს ცვეთის მეთოდებს და კოეფიციენტებს ყოველი საფინანსო წლის ბოლოს რომ ასახოს ხომ არ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ორგანიზაციის რომელიმე ძირითადი საშუალება, რომლისგანაც სარგებელს მოელის გაუფასურებულია.

როდესაც ხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა სახით ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება შემოსავლების უწყისში.

არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები ცხადდება დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. შემენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზირდება შესაძენად გაწეული და კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების დაწყებისთვის საჭირო ხარჯების საფუძველზე.

ამორტიზაცია ერიცხება მოგებას ან ზარალს წრფივი მეთოდის გამოყენებით არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. სასარგებლო მომსახურების ვადა არის 6-7 წელი.

დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნები

ორგანიზაციას უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში არ აქვს სამართლებრივი უფლება დაისაკუთროს ქონება. ორგანიზაციას უფლება აქვს გაყიდოს ქონება ვადაგადაცილებული სესხების პროცენტის და ჯარიმების ამოსაღებად. ორგანიზაცია აღიარებს დასაკუთრებულ აქტივებს ფინანსურ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აქვს სრული და საბოლოო უფლება მათ დასაკუთრებაზე. ამ აქტივებთან დაკავშირებული ვადაგადაცილებული სესხების ჩამოწერა ხდება უზრუნველყოფის დასაკუთრების პარალელურად.

თავდაპირველი აღიარებისას დასაკუთრებული აქტივები ფასდება სესხის ჩამოწერისას არსებული სესხის მოთხოვნის ღირებულებით (რაც ასევე მოიცავს დარიცხულ პროცენტს და ჯარიმას). თავდაპირველი აღიარების შემდეგ დასაკუთრებული აქტივები ფასდება (1) სესხის ჩამოწერისას არსებული სესხის მოთხოვნის ღირებულებასა (რაც ასევე მოიცავს დარიცხულ პროცენტს და ჯარიმას) და (2) დასაკუთრებული აქტივის გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ მის რეალურ ღირებულებას შორის უმცირესით.

სხვაობა აქტივის თავდაპირველი აღიარებისას მის საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ მის რეალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ე) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი მოიცავს დამფუძნებლების მიერ ორგანიზაციის რეგისტრაციისას უფლებამოსილ კაპიტალს. საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება, როგორც საკუთარი კაპიტალი.

დივიდენდები

ორგანიზაციის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებსა და რეგულაციებს.

დივიდენდები აღირიცხება შესაბამის გაუნაწილებელი მოგების სახით მათი გამოცხადების მომენტში.

ვ) დაბეგრვა

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადებს. მიმდინარე გადასახადები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ ნაწილისა, რომელიც აღიარდება სხვა ერთობლივ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის, აგრეთვე წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი დაზუსტება. მიმდინარე გადასახადის ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან გამომდინარე ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო (დაბეგვრის) ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც დამფუძნებლებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან მოგების განაწილების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უსასყიდლო მიწოდებას და ზღვარ გადაცილებულ (ზენორმატიულ) წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია მიმდინარე გადახდილი გადასახადისთვის გაუნაწილებელ მოგებაზე 2008-2016 წლებში, თუ ამგვარი მოგება განაწილდება 2019 ან შემდგომ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის დღისა ან იმ პერიოდისა, რომლის დროსაც ხდება დივიდენდების გადახდა.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში მოქმედი საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხის წარმოშობის საფასური, სესხის მომსახურების საფასური და სხვა გადასახდელები, რომლებიც მიჩნეულია სესხის მთლიანი მომგებიანობის შემადგენელ ნაწილად, დაკავშირებულ საოპერაციო ხარჯებთან ერთად, გადავადდება ან ამორტიზირდება საპროცენტო შემოსავლით ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადის მიხედვით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა გადასახდელები, საკომისიო და სხვა შემოსავლის ან ხარჯის ერთეულები აღიარდება მოგებაში ან ზარალში, შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

ზ) ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც არ არის მიღებული

რამოდენიმე ახალი სტანდარტი, აგრეთვე, სტანდარტების ცვლილება და ინტერპრეტაცია ჯერ კიდევ არ მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და, შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მათი გამოყენების გარეშე მომზადდა.

ქვემოთ მოცემულია ის ცვლილებები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობასა და მაჩვენებლებზე. ორგანიზაცია გეგმავს ქვემოთ მოცემული სტანდარტების ათვისებას მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები" გამოშვებული იქნება რამდენიმე ნაწილად და განზრახულია, რომ ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება". ფასს 9-ის პირველი ნაწილი გამოშვებულია 2009 წლის ნოემბერში და ეხება ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებას. მეორე ნაწილი, ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასების შესახებ გამოვიდა 2010 წლის ოქტომბერში. სტანდარტის მესამე ნაწილი გამოშვებულია 2013 წლის ნოემბერში და ეხება ჰეჯირების ზოგად აღრიცხვას. სტანდარტი დასრულდა და გამოქვეყნდა 2014 წლის ივლისში. საბოლოო ნაწილი ეხება საკრედიტო ზარალის მოდელს გაუფასურების გამოსაანგარიშებლად. ორგანიზაცია აცნობიერებს, რომ ახალ სტანდარტს შეაქვს ბევრი ცვლილება ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვაში და შესაძლოა იქონიოს არსებითი გავლენა ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ორგანიზაციას არ ჩაუტარებია ამ ცვლილებების გავლენის ანალიზი. ორგანიზაცია არ აპირებს ამ სტანდარტის ვადაზე ადრე დანერგვას. სტანდარტი ძალაში შევა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და გამოყენებული იქნება რეტროსპექტულად, ზოგიერთი გამონაკლისის გათვალისწინებით.

განმარტებითი შენიშვნების ინიციატივა (ბასს 7-ის ცვლილება). აღნიშნული ცვლილება მოითხოვს განმარტებითი შენიშვნის გაკეთებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს შეაფასონ როგორც ფულადი, ასევე არაფულადი ცვლილებები ფინანსური საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებებში. ცვლილება მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლის საანგარიშგებო პერიოდებისთვის. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია. ახალი ცვლილების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ორგანიზაცია ჯერ არ აპირებს წარადგინოს ფინანსური საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებების საწყისი და საბოლოო ნაშთების რეკონსილირება.

ფასს-ის სხვადასხვა გაუმჯობესება სტანდარტების მიხედვით ხორციელდება. ყველა ცვლილება, რომელიც იწვევს წარდგენის, აღიარებისა და შეფასების მიზნით სააღრიცხვო ცვლილებებს, ძალაში შევა არაუგვიანეს 2017 წლის 1 იანვრისა. ორგანიზაციას ჯერ არ გაუანალიზებია გაუმჯობესებათა შესაძლო გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მაჩვენებელზე.

შენიშვნა 4 -ფული და ფულადი ექვივალენტები	31.12.2015	31.12.2016
ფული საბანკო ანგარიშებზე ლარებში	2 254 107	712 337
ფული საბანკო ანგარიშებზე აშშ დოლარში	211 437	173 997
ფული საბანკო ანგარიშებზე ევროში	191	20 396
ჯამურად ნაშთები მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	**2 465 735**	**906 730**
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	1 437 370	2 576 639
ნაღდი ფული სალაროში აშშ დოლარში	1 024 712	1 470 280
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	**2 462 082**	**4 046 919**
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	**4 927 817**	**4 953 649**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არ არიან გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული. „ორგანიზაციის" ყველა საბანკო ნაშთი ფიტჩის BB-, B+ და B შეფასების მქონე ბანკებშია განთავსებული.

შენიშვნა 5 - გაცემული სესხები

	31.12.2015	31.12.2016
ფიზიკური პირებისთვის გაცემული სესხები	24 685 604	21 266 253
მისაღები პროცენტები	1 320 761	318 573
ვადაგადაცილებული სესხები	4 048 319	6 482 533
სულ გაცემული სესხები	**30 054 684**	**28 067 359**

სესხის ტიპის ანალიზი

	31.12.2015	31.12.2016
ბიზნეს სესხი	-	8 970 992
ლიზინგი	-	814 308
საკრედიტო ხაზი	-	531 495
სალომბარდო სესხი	-	8 657 536
სამომხმარებლო	-	2 291 922
სულ გაცემული სესხები	**-**	**21 266 253**

მთლიანი სასესხო პორტფელის განაწილება სამართლებრივი ფორმის მიხედვით მიხედვით

გაცემული სესხების პროცენტი ძირითადად მერყეობს წლიური 18 პროცენტიდან 97.3 პროცენტამდე.

მთლიანი სასესხო პორტფელის განაწილება სესხის ვადიანობის მიხედვით

	31.12.2015	31.12.2016
3 თვეზე ნაკლები	-	15 620 306
3-დან 6 თვემდე	-	964 767
6-დან 12 თვემდე	-	2 240 547
1-დან 5 წლამდე	-	2 440 632
5 წელზე მეტი	-	-
სულ გაცემული სესხები	**-**	**21 266 253**

უზრუნველყოფის ტიპის ანალიზი	**31.12.2015**	**31.12.2016**
არაუზრუნველყოფილი	-	181 520
ოქრო და ვერცხლი	-	9 483 104
სატრანსპორტო საშუალება	-	866 102
საბრუნავი საშუალებები	-	10 735 527
სულ გაცემული სესხები	**-**	**21 266 253**

კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი	**31/12/2016**	**%**
ვადაგადაუცილებელი	20,362,063	73.4%
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	276,264	1.0%
30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	403,838	1.5%
90-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	113,807	0.4%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	72,196	0.3%
365 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	38,084	0.1%
დეფოლტი	6,482,533	23.4%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი	**27,748,786**	**100%**

შენიშვნა 6 -სხვა აქტივები

	31.12.2015	**31.12.2016**
სატრანზიტო ანგარიში	-	3 636
გადახდილი ავანსები	-	5 664
საოფისე ინვენტარი	14 606	31 132
სულ სხვა აქტივები	**14 606**	**40 431**

შენიშვნა 7 - ძირითადი საშუალებები

	შენობა-ნაგებობები	კომპიუტერული ტექნიკა და საკომუნიკაციო მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობები	სხვა ძირითადი საშუალებები	ჯამურად
საწყისი ღირებულება						
ბალანსი 31/12/2015	2 045 978	406 481	207 463	275 823	717 404	3 653 149
დანამატები	945 238	323 258	515 218	160 144	1 129 891	3 073 749
აქტივების ჩამოწერა	-	-	(55 617)	-	(824 264)	(879 881)
ბალანსი 31/12/2016	2 991 216	729 739	667 064	435 967	1 023 031	5 847 016
აკუმულირებული ცვეთა						
ბალანსი 31/12/2015	(74 633)	(110 691)	(28 874)	(78 925)	(215 712)	(508 835)
ცვეთა პერიოდისათვის	(133 533)	(107 481)	(84 536)	(67 165)	(73 717)	(466 432)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	9 316	-	14 977	24 292
ბალანსი 31/12/2016	(208 166)	(218 172)	(104 094)	(146 090)	(274 452)	(950 975)
წმინდა ღირებულება						
ბალანსი 31/12/2015	**1 971 345**	**295 790**	**178 590**	**196 898**	**501 692**	**3 144 314**
ბალანსი 31/12/2016	**2 783 050**	**511 567**	**562 969**	**289 877**	**748 578**	**4 896 042**

შენიშვნა 8 - არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	ჯამურად
საწყისი ღირებულება		
ბალანსი 31/12/2015	5 461	5 461
დანამატები	253 296	253 296
აქტივების ჩამოწერა	-	-
ბალანსი 31/12/2016	258 757	258 757
აკუმულირებული ცვეთა		
ბალანსი 31/12/2015	(1 083)	(1 083)
ცვეთა პერიოდისათვის	(32 812)	(32 812)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-
ბალანსი 31/12/2016	(33 895)	(33 895)
წმინდა ღირებულება		
ბალანსი 31/12/2015	**4 379**	**4 379**
ბალანსი 31/12/2016	**224 863**	**224 863**

შენიშვნა 9 - მიღებული სესხები

	31.12.2015	**31.12.2016**
რეზიდენტი კომერციული ბანკების სესხები	10 873 175	9 413 275
ფიზიკური პირებიდან ნასესხები ფულადი სახრები	22 020 403	22 284 253
იურიდიული პირებიდან ნასესხები ფულადი სახრები	1 333 810	5 161 997
გადასახდელი პროცენტები	191 227	236 747
სულ მიღებული სესხები	**34 418 614**	**37 096 272**

მიღებული სესხები
ვალუტების მიხედვით

	31.12.2015		31.12.2016	
	ძირი თანხა	დარიცხული პროცენტები	ძირი თანხა	დარიცხული პროცენტები
ლარი	12 011 059	15 569	15 737 987	32 378
აშშ დოლარი	22 216 328	175 658	21 121 538	204 369
სულ მიღებული სესხები	**34 227 387**	**191 227**	**36 859 525**	**236 747**

მიღებული სესხების განაწილება სესხის ვადიანობის მიხედვით

		12/31/2016
3 თვეზე ნაკლები		4,438,174
3-დან 6 თვემდე		3,347,894
6-დან 12 თვემდე		19,147,868
1-დან 5 წლამდე		9,925,589
5 წელზე მეტი		-
სულ მიღებული სესხები	-	**36,859,525**

შენიშვნა **10** - სხვა ვალდებულებები	**31.12.2015**	**31.12.2016**
ვალდებულება პერსონალთან	302 521	415 142
მიღებული ავანსები	957 703	407 297
ურთიერთდახმარების ფონდი	34 004	56 832
სულ სხვა ვალდებულებები	**1 294 229**	**879 271**

შენიშვნა 11 - საკუთარი კაპიტალი

	12/31/2015	12/31/2016
გამოშვებული და გადახდილი საწესდებო კაპიტალი	1,645,309	2,645,309
სულ საკუთარი კაპიტალი	**1,645,309**	**2,645,309**

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ორგანიზაციის გასანაწილებელი ნაშთები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ ორგანიზაციის ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებაში განსაზღვრულის შესაბამისად. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობთ, ორგანიზაცია ფლობდა გაუნაწილებელ მოგებას დივიდენდის გაცემამდე 42,466 ლარის ოდენობით (2015 წელს: 2,708,391 ლარი).

2016 წელს გამოცხადდა და დამფუძნებლებისათვის გადახდილ იქნა დივიდენდები 1,894,737 ლარის ოდენობით (2015 წელს: 2,028,397 ლარი).

შენიშვნა 12 - წმინდა პროცენტული შემოსავალი

	31.12.2015	31.12.2016
პროცენტული შემოსავლები რეზიდენტ ბანკებში განთავსებული სახსრების მიხედვით	-	188
პროცენტული შემოსავლები ფიზიკური პირებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხების მიხედვით	19 108 041	22 116 772
პროცენტული შემოსავლები ფინანსური ლიზინგიდან	125 053	457 045
სულ საპროცენტო შემოსავალი	**19 233 094**	**22 574 005**
პროცენტული ხარჯები რეზიდენტი ბანკებიდან მიღებული სესხების მიხედვით	1 304 962	1 488 560
პროცენტული ხარჯები ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხების მიხედვით	4 223 458	4 655 099
პროცენტული ხარჯები იურიდიული პირებიდან მიღებული სესხების მიხედვით	-	102 868
სულ საპროცენტო ხარჯი	**5 528 420**	**6 246 527**
წმინდა პროცენტული შემოსავალი	**13 704 674**	**16 327 479**

შენიშვნა 13 - წმინდა საკომისიო შემოსავალი	31.12.2015	31.12.2016
საკომისიო შემოსავლები უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის მიხედვით	711 578	541 812
საკომისიო შემოსავლები გაცემული სესხებიდან	1 012 904	1 414 941
საკომისიო შემოსავლები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით	342 844	13 909
საკომისიო შემოსავალი	**2 067 326**	**1 970 662**
საკომისიოები უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის მიხედვით	236 657	215 705
მიმდინარე ანგარიშების გახსნისა და წარმოების საკომისიოები და ხარჯები	25 611	25 307
დანარჩენი საკომისიოები და ხარჯები	78 377	158 418
საკომისიო ხარჯები	**340 645**	**399 431**
სულ წმინდა საკომისიო შემოსავალი	**1 726 680**	**1 571 231**

შენიშვნა 14 - სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	31.12.2015	31.12.2016
ხარჯები ძვირფასი ლითონების იჯარაზე	129 827	84 392
საკომუნიკაციო ხარჯები	101 572	103 486
საკონსულტაციო ხარჯები	16 662	23 660
აუდიტორული მომსახურების ხარჯები	26 765	14 160
გადახდილი ჯარიმები და საურავები	17 031	23 583
სასამართლოს ხარჯები	1 326	77 357
იჯარის ხარჯები	1 814 016	1 565 204
ხელფასის ხარჯები	6 194 319	9 928 470
რეკლამის ხარჯები	65 624	241 148
წარმომადგენლობითი ხარჯები	7 365	33 056
მივლინების ხარჯები	31 727	27 861
ტრეინინგის ხარჯები	33 358	82 159
რემონტის ხარჯები	292 015	781 721
კომუნალური ხარჯები	121 235	140 513
ქონების დაზღვევის ხარჯები	13 686	44 804
დაცვის ხარჯები	73 575	79 291
საფოსტო ხარჯები	17 911	16 633
საკანცელარიო ხარჯები	37 508	59 343
საგადასახადო ხარჯები	30 382	-
სხვა ხარჯები	45 991	62 394
სულ სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	**9 071 894**	**13 389 234**

შენიშვნა 15 - რისკების მართვა, კორპორატიული მმართველობა და შიდა კონტროლის მექანიზმები

რისკების მართვა ორგანიზაციის საქმიანობის არსებით ნაწილსა და მისი ოპერაციების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. ორგანიზაციის წინაშე არსებული ძირითადი რისკებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭო და მისი კომიტეტები მთლიანობაში პასუხისმგებელი არიან რისკების მართვის სტრუქტურისა და ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობაზე, ასევე რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების განახლებაზე და ორგანიზაციაზე არსებითი გავლენის მქონე რისკების დამტკიცებაზე.

ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს რისკების კომიტეტსა და ფინანსურ დეპარტამენტს ევალება მონიტორინგის განხორციელება და რისკების შემამცირებელი ზომების მიღება, ასევე ორგანიზაციის საქმიანობის განსაზღვრული სარისკო პარამეტრების ფარგლებში მიმდინარეობის უზრუნველყოფა. რისკების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია რისკების საყოველთაო მართვასა და შესაბამის ფუნქციონირებაზე, ასევე ფინანსური და არაფინანსური რისკების გამოვლენასთან, შეფასებასთან, მართვასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებული საერთო პრინციპებისა და მეთოდების განხორციელების უზრუნველყოფაზე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა ფასების რისკებს. საბაზრო რისკი წარმოიშვება საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

საბაზრო რისკების მართვის მიზანია ორგანიზაციაზე საბაზრო რისკების გავლენის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, რისკზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე მოქმედებს ცვლილებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პრიორიტეტულ დონეებში. საპროცენტო მარჟა შესაძლოა გაიზარდოს ამგვარი ცვლილებების შედეგად, თუმცა შესაძლოა შემცირდეს კიდეც ან წარმოშვას ზარალი, თუ ადგილი ექნება მოულოდნელ მოძრაობებს.

საპროცენტო განაკვეთის შედარებითი ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვა ხდება საპროცენტო განაკვეთების მონიტორინგით. საპროცენტო განაკვეთის შედარებითი ანალიზის შედეგები, ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო შემდეგი:

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ მთლიანი თანხის გადინება
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,953,649	-	-	-	-	**4,953,649**
კლიენტებზე გაცემული სესხები	15,620,306	964,767	2,240,547	2,440,632	-	**21,266,253**
დარიცხული პროცენტები	318,573	-	-	-	-	**318,573**
სხვა ფინანსური აქტივები	9,300	-	-	-	-	**9,300**
	20,901,829	**964,767**	**2,240,547**	**2,440,632**	-	**26,547,775**
ვალდებულებები						
სესხები და კრედიტები	4,438,174	3,347,894	19,147,868	9,925,589	-	**36,859,525**
გადასახდელი პროცენტები	236,747	-	-	-	-	**236,747**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	407,297	-	-	-	-	**407,297**
	5,082,218	**3,347,894**	**19,147,868**	**9,925,589**	-	**37,503,569**
	25,984,047	**4,312,661**	**21,388,415**	**12,366,221**	-	**64,051,344**

სამართლიანი ღირებულების სენსიტიურობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

ორგანიზაცია არ ახდენს მისი რომელიმე ფიქსირებულგანაკვეთიანი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების განმარტებას. შესაბამისად, საანგარიშგებო დღისთვის საპროცენტო განაკვეთების ცვლილება არ იმოქმედებს მოგებასა და ზარალზე.

სავალუტო რისკი

ორგანიზაციის აქტივები და ვალდებულებები ლარში აშშ დოლარშია დენომინირებული. სავალუტო რისკი წარმოადგენს რისკს იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას სავალუტო გაცვლითი კურსის გამო.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სავალუტო რისკის სტრუქტურას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევროში	სულ
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	3,288,976	1,644,277	20,396	**4,953,649**
გაცემული სესხები	14,887,112	6,379,140	-	**21,266,253**
დარიცხული პროცენტები	318,573.31	-	-	**318,573**
სხვა ფინანსური აქტივები	9,300	-	-	**9,300**
სულ აქტივები	**18,503,962**	**8,023,417**	**20,396**	**26,547,775**
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	(15,737,987)	(21,121,538)	-	**(36,859,525)**
გადასახდელი პროცენტები	(236,747)	-	-	**(236,747)**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(374,893)	(32,404)		**(407,297)**
სულ ვალდებულებები	**(16,349,627)**	**(21,153,942)**	**-**	**(37,503,569)**
წმინდა პოზიცია	**2,154,335**	**(13,130,525)**	**20,396**	**(10,955,793)**

ქვემოთ მოცემულია წლის განმავლობაში გამოყენებული მნიშვნელოვანი სავალუტო გაცვლითი კურსები:

1. ეროვნულის კურსი
2. საშუალო წლიური კურსი

	საშუალო განაკვეთი		სპოტ განაკვეთი ანგარიშსწორების თარიღისთვის	
	2015	**2016**	**31/12/2015**	**31/12/2016**
აშშ დოლარში	2,270	2,367	2,395	2,647
ევროში	2,520	2,617	2,617	2,794

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს ორგანიზაციის ფინანსურ ზარალს.

ორგანიზაციას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომელშიც გათვალისწინებულია საკრედიტო კომიტეტების შექმნა. ეს არის ანალიტიკური ორგანო, რომელსაც ევალება წარმოდგენილი სესხის განაცხადში მოცემული ინფორმაციის ანალიზი, საკრედიტო რისკების განსაზღვრა და მათი მინიმუმამდე დაიყვანა. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგს:

- სასესხო/საკრედიტო განაცხადის განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს; უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგიას; საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება არსებული სესხის განაცხადის დაფინანსება/არდაფინანსების შესახებ. კომიტეტისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეფუძნება ლიმიტებს, რომლებიც საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებშია დადგენილი.

საკრედიტო კომიტეტზე წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისწორეზე პასუხს აგებს სესხის ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. ამისათვის ის იყენებს შეფასების მოდელებს და განცხადებაში წარდგენილი ინფორმაციის შემოწმების პროცედურებს. საბოლოოდ, საკრედიტო კომიტეტის წევრები გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.) აფასებენ სესხის განაცხადს.

კლიენტის ბიზნესის მონიტორინგის საფუძველზე მისი გადახდისუნარიანობის კონტროლი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს თავიდან აცილებული ფინანსური ზარალის მიღების რისკი. მონიტორინგს ახორციელებენ სესხის ოფიცრები და შედეგებს წარუდგენენ ხელმძღვანელობას. სესხების რეგულარული მონიტორინგი ასევე ხორციელდება მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ. მონიტორინგის შედეგები ყოველთვიურად წარედგინება უმაღლეს მენეჯმენტს, რათა დროულად მოხდეს რეაგირება მოსალოდნელ რისკებზე. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის მართვას და მის დროულ განეიტრალებას.

საკრედიტო რისკების კონტროლი ასევე ნაწილობრივ ხორციელდება გირაოსა და თავდებობის მეშვეობით. გირაო არის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დამცავი მექანიზმი საკრედიტო რისკთან მიმართებაში. ორგანიზაცია ფლობს კონსერვატიულ სტრატეგიას ყველა სტანდარტული სესხის გასაცემად შესაბამისი გირაოს საფუძველზე, რომელიც ფასდება საკრედიტო ექსპერტის (როდესაც წარმოდგენილი ქონებისთვის დაკვირვებადი ბაზრის მონაცემები ხელმისაწვდომია) ან დამოუკიდებელი შემფასებელი კომპანიის მიერ, როდესაც გირაოსთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ინდივიდუალური კლიენტების ანალიზის გარდა, რისკების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს საკრედიტო პორტფელის შეფასებას, კრედიტების კონცენტრაციასა და საბაზრო რისკებთან დაკავშირებით.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი ჩვეულებრივ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დამოკიდებულება ფინანსური აქტივებიდან საანგარიშგებო თარიღისთვის იყო შემდეგი:

აქტივები	31.12.2015	31.12.2016
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4 927 817	4 953 649
კლიენტებზე გაცემული სესხები	30 054 684	28 067 359
სხვა ფინანსური აქტივები	-	9 300
სულ მაქსიმალური რისკი	**34 982 501**	**33 030 308**

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ორგანიზაცია სიძნელეებს წააწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემასთან. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც განსხვავებულია აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდურობის მართვის ქვაკუთხედს. ფინანსურ ინსტიტუტში სრული შესაბამისობის მიღწევა იშვიათია, რამდენადაც ბიზნესი ხშირად გაურკვეველ დროს ვითარდება და თანაც ის სხვადასხვა ტიპის არის. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, თუმცა, შესაძლოა ზრდიდეს ზარალის საფრთხესაც.

ორგანიზაცია ახორციელებს ლიკვიდურობის მართვას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა ფულადი ვალდებულების უზრუნველყოფისთვის ხელმისაწვდომი იქნება თანხები მათი დაფარვის დღისთვის.

ლიკვიდურობის პოზიციას აკონტროლებს დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო. ლიკვიდურობის მართვის გადაწყვეტილებებს იღებს სამეთვალყურეო საბჭო და ასრულებს დირექტორი.

ცხრილში ქვემოთ წარმოდგენილია არადისკონტირებული ფულადი ნაკადები ფინანსურ ვალდებულებებზე და მათ ბოლო შესაძლო სახელშეკრულებო დაფარვის ვადის საფუძველზე. მთლიანი სრული შემოსავალი და გასავალი, რომელიც განხილულია ცხრილებში, წარმოადგენს სახელშეკრულებო, არადისკონტირებული ფულადი ნაკადები ფინანსურ ვალდებულებაზე. ვადიანობის ანალიზი ფინანსური ვალდებულებებისთვის 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო შემდეგი:

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ მთლიანი თანხის გადინება
სესხები და კრედიტები	4,438,174	3,347,894	19,147,868	9,925,589	-	36,859,525
გადასახდელი პროცენტები	236,747	-	-	-	-	236,747
სხვა ფინანსური ვალდებულებები	407,297	-	-	-	-	407,297
სულ ფინანსური ვალდებულებები	**5,082,218**	**3,347,894**	**19,147,868**	**9,925,589**	**-**	**37,503,569**

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების მოსალოდნელი დაფარვის ვადების ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობთ:

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ მთლიანი თანხის გადინება
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,953,649	-	-	-	-	**4,953,649**
კლიენტებზე გაცემული სესხები	15,620,306	964,767	2,240,547	2,440,632	-	**21,266,253**
დარიცხული პროცენტები	318,573	-	-	-	-	**318,573**
ძირითადი საშუალებები	-	-	-	-	4,896,042	**4,896,042**
არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	224,863	**224,863**
წინასწარ გადახდილი გადასახადები	673,196	-	-	-	-	**673,196**
სხვა აქტივები	9,300			31,132	-	**40,431**
სულ აქტივები	**21,575,025**	**964,767**	**2,240,547**	**2,471,764**	**5,120,904**	**32,373,007**

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ მთლიანი თანხის გადინება
ვალდებულებები						
სესხები და კრედიტები	4,438,174	3,347,894	19,147,868	9,925,589	-	**36,859,525**
გადასახდელი პროცენტები	236,747	-	-	-	-	**236,747**
საგადასახადო ვალდებულებები	86,958	-	-	-	-	**86,958**
სხვა ვალდებულებები	822,439	-	-	-	56,832	**879,271**
სულ ვალდებულებები	**5,584,319**	**3,347,894**	**19,147,868**	**9,925,589**	**56,832**	**38,062,501**
წმინდა პოზიცია	**15,990,706**	**(2,383,127)**	**(16,907,321)**	**(7,453,825)**	**5,064,072**	**(5,689,495)**

შენიშვნა 16 - კაპიტალის მართვა

ორგანიზაციის პოლიტიკა მოიცავს ძლიერი კაპიტალის ბაზის ფლობას ისე, რომ უზრუნველყოფილ იყოს ინვესტორის, კრედიტორისა და ბაზრის ნდობა და შენარჩუნდეს საქმიანობის შემდგომი განვითარება. კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას.

ორგანიზაცია განსაზღვრავს მის მიერ მოთხოვნილი კაპიტალის თანხას რისკის პროპორციულად. ორგანიზაცია მართავს მის კაპიტალის სტრუქტურას და ცვლის მას ეკონომიკურ პირობებში და ქვემდებარე აქტივებში რისკების მახასიათებლებში ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნებისა და ცვლილების მიზნით, ორგანიზაციას შეუძლია შეცვალოს აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდების თანხა, აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

ვალის თანხის საკუთარი კაპიტალის თანხასთან შესაბამისობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის იყო შემდეგი:

	31.12.2015	**31.12.2016**
სულ ვალდებულებები	36 029 179	38 062 501
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გამოკლებით	(4 927 817)	(4 953 649)
წმინდა ვალი	**31 101 362**	**33 108 852**
სულ კაპიტალი	**2 325 303**	**793 038**
ვალის თანხის საკუთარი კაპიტალის თანხასთან შესაბამისობა	13,4	41,7

შენიშვნა 17 - გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. ამასთან, ორგანიზაციას არ აქვს სადაზღვევო ანაზღაურება ბიზნეს ჩარევაზე და არსებობს რისკი, რომ კონკრეტული აქტივების დაკარგვას ან განადგურებას შესაძლოა ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი გავლენა ორგანიზაციის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, ადგილი არ აქვს მიმდინარე სამართლებრივ სასამართლო დავებს ან სხვა გადაუწყვეტელ დავებს, რომლებსაც შესაძლოა არსებითი გავლენა ჰქონდეს ორგანიზაციის ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის წარმოდგენილი და აღიარებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები. ასევე ხშირია აღნიშნულთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს არანაირი დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. ამასთან, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს „ორგანიზაციის" ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შენიშვნა 18 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ)ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ქვემოთ მოცემულია დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები:

	გაცემული სესხები	მისაღები პროცენტები	მიღებული სესხები	გადასახდელი პროცენტი	წილი მისო-ში
დამფუძნებლები:					
ნაზიკო კანდელაკი (პ/ნ 01024020434)	-	-	338 790	2 002	9%
თამარ კანდელაკი (პ/ნ 01026011515)	-	-	331 882	1 972	17%
ეკა ხიზანიშვილი (პ/ნ 01015001783)	-	-	182 629	1 158	2,5%
გიორგი მამადაშვილი (პ/ნ 0101300217)	-	-	596 853	589	5%
ქეთევან სიდამონიძე (პ/ნ 01006014310)	-	-	291 148	261	26,25%
			-	-	-
თანამშრომლები:	256 314	2 809	-	-	-
ჯამურად:	**256 314**	**2 809**	**1 741 303**	**5 982**	

შენიშვნა 19 - საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

შენიშვნა 20 - ბალანსის შემდგომი მოვლენები

2016 წლის 31 დეკემბრის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენასს.

*****